

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ უმსხვილესი ჩინური ენერგეტიკული კომპანიის „Shanxi Coking Coal Group“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ.



„ჯი-აი-ჯის“ ცენტრალურ ოფისში 30 ივლისს ჩინელ ინვესტორებთან მორიგი შეხვედრა შედგა.

„Shanxi Coking Coal Group“ ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კომპანიაა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში საინვესტიციო კლიმატის, კერძოდ კი ნახშირის მომპოვებელი ჩინური გიგანტის წარმომადგენლები ტყიბული-შაორის საბადოზე მოპოვებითი სამუშაოებით და ნახშირის 300 მეგავატი სიმძლავრის თბოსადგურის მშენებლობის პროექტში

შესაძლო ჩართულობით დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ინტეგრირებული პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულება 1 მლრდ ლარს აღემატება. როგორც მხარეებმა აღნიშნეს პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

შეხვედრაში ქართული მხრიდან საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალური დირექტორი ლაშა მიქავა, კომპანიის ფინანსური დირექტორი ზურაბ გელენიძე, „საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალური დირექტორი ოლექსი ვილხოვოი და „სიპაურის“ დირექტორი გიგი ჭაჭია მონაწილეობდნენ.

შეხვედრა გაიმართა ტყიბულშიც, სადაც ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ადგილობრივი საწარმოს ტექნიკურ შესაძლებლობებს ადგილზე გაეცნენ.



პრესრელიზი



რამდენიმე დღიანი ვიზიტის ფარგლებში კომპანია „Shanxi Coking Coal Group“ წარმომადგენლებთან შეხვედრები ეკონომიკის სამინისტროსა და ბიზნეს ასოციაციაშიც გაიმართა .

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

